MES 4 23 0000575845

22/05/2023

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

დავით მალაზონია - შპს „თანამედროვე განათლების აკადემიის“ დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე;
მანანა ჯინჭარაძე - სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ინოვაციური განათლების პროგრამის კონსულტანტი, საბჭოს მდივანი;
ეკატერინე კვირიკაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ძველი თბილისის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი.
თამარ მამსიკაშვილი - აზიის განვითარების ბანკის პროგრამის „თანამედროვე უნარები უკეთესი დასაქმებისთვის“ სკოლების გაძლიერების სპეციალისტი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
გიორგი გიგიბერია - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის“ პროგრამების მენეჯერი, საბჭოს წევრი;
ქეთევან ნატროშვილი - შპს „ქართული სასწავლებლის - თბილისის“ დირექტორის მოადგილე, საბჭოს წევრი;
პეტრე ბაბილუა - შპს „ევროპული სკოლის“ მათემატიკის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
მაკა მამფორია - შპს „ლამარა მარგველაშვილის სახელობის სკოლა XXI საუკუნის“ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა კათედრის ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
ზვიად გოგუაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტერიტორიული ორგანოს - ქალაქ ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, საბჭოს წევრი;
მორის დანდურიშვილი - სსიპ-ქალაქ ხაშურის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, საბჭოს წევრი;
ნატო გაბოშვილი - შპს საქართველოს უნივერსიტეტის მასწავლებელთა დაკვირვებისა და მენტორინგის პროგრამის მათემატიკის მიმართულების ხელმძღვანელი, საბჭოს წევრი;
შალვა მეკრავიშვილი - სსიპ - შოთა რუსთაველის სახელობის ქ. რუსთავის N2 საჯარო სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების მასწავლებელი, საბჭოს წევრი.

2. სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

თამარ შენგელია - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
მარი მგელაძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;
გვანცა მეტრეველი-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

გვანცა ნინიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი
მარეხი ყანჩაველი-სკოლის დირექტორი
ნოდარ ანგურიძე-სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერი
სალომე ოსეფაშვილი-სკოლის იურისტი

შპს N1 სკოლა
გოჩა გოქაძე-სკოლის დირექტორი

4. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი
ხათუნა ბარაბაძე
ლიანა კობესაშვილი

შპს N1 სკოლა
ქეთევან ბოტკოველი
იზაბელა იოსელიანი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ (შემდგომში - დებულება) 17-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარე, დავით მალაზონია. კორონავირუსის ინფექციის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა 2023 წლის 04 მაისის ჩატარდა ონლაინ რეჟიმში (Zoom - ის ონლაინ პლატფორმის საშუალებით). სხდომა დაიწყო 15:00 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-17-ე მუხლის მე-5-ე პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. ცენტრის წარმომადგენელმა საბჭოს წინაშე დააყენა შუამდგომლობა სხდომის მიმდინარეობის აუდიო ჩაწერასთან დაკავშირებით სხდომის ოქმის მომზადების მიზნით. მან აქვე განმარტა, რომ აუდიო ჩანაწერი განადგურდებოდა ოქმის პროექტის მომზადებისთანავე. საბჭოს სხდომაზე დამსწრე პირებმა გაიზიარეს აღნიშნული შუამდგომლობა. საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების მე-20-ე მუხლის მე-7-ე პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგანსაბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს N1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. დღის წესრიგთან დაკავშირებით შუამდგომლობა არ იქნა წარმოდგენილი და შესაბამისად, დღის წესრიგი დამტკიცდა წარმოდგენილი სახით.

1. შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ხათუნა ბარაბაძემ და ლიანა კობესაშვილმა.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა მიმდინარე წლის 27 და 28 თებერვალს. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება საკუთრების უფლებით ფლობდა 10890.00 კვ.მ მიწის ნაკვეთს და მასზე განთავსებულ N1 სასწავლო კორპუსს (4 სართული, საერთო ფართით 3034.23 კვ.მ) და N2 დამხმარე შენობა/ნაგებობას (საერთო ფართით 34.71 კვ.მ.). ექსპერტის თქმით, დაწესებულება მეოთხე სართულს არ იყენებდა და გადაკეტილი ჰქონდა ორმხრივად.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, ისაუბრა დაწესებულების მისიის შესახებ და აღნიშნა, რომ სკოლის მიერ გაცხადებული მისია იყო აღეზარდა ინფორმირებული, ტექნოლოგიური მიღწევის ეფექტიანად გამოყენების უნარისა და თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი აკადემიური განათლების მქონე, მაღალი ზნეობის, პატრიოტული სულისკვეთების, მულტიკულტურული და ტოლერანტული, კანონმორჩილი პიროვნება, რომელიც გააცნობიერებდა თავის პასუხისმგებლობას ქვეყნის ინტერესების, ტრადიციების, ისტორიული და კულტურული ღირებულებების მიმართ, თავად შექმნიდა ღირებულებებს და საკუთარ წვლილს შეიტანდა საზოგადოების წინსვლაში, ხელს შეუწყობდა არაქართულენოვან კონტიგენტს სახელმწიფო ენის გაძლიერებულ სწავლებაში, მეგობრული ურთიერთობების განვითარებაში.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასებაზე თანდართულ დოკუმენტაციებში დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებამ შეიტანა ცვლილება წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში, შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა სასკოლო სასწავლო გეგმის ორივე პროექტი. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, აღნიშნა, რომ სასკოლო დოკუმენტაციაში შეიმჩნეოდა რიგი შეუსაბამობები: მისი განმარტებით, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ 2022 წლის 01 ნოემბრის N6/11 ბრძანებით. ,,შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ დებულებაში იკითხებოდა, რომ სკოლის დირექტორი შეიმუშავებდა სასკოლო სასწავლო გეგმას და განსახილველად და დასამტკიცებლად წარუდგენდა პედაგოგიურ საბჭოს. პედაგოგიური საბჭოს დებულების მიხედვით კი, პედაგოგიური საბჭოს ფუნქციაში შედიოდა სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა და არა დამტკიცება. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში ცვლილება შეიტანა შპს „შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის“ დირექტორის 2022 წლის 01

ნოემბრის N6/5 ბრძანებით დამტკიცებულ დებულებაში, შესაბამისად, დაწესებულების მიერ შემუშავებულ რეგულაციებში არსებული შეუსაბამობა აღმოიფხვრა.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში სრულად არ იყო წარმოდგენილი საათობრივი ბადის შემადგენელი კომპონენტები, მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის დანართი 2-ით (საათობრივი ბადე), წარმოდგენილი იყო მხოლოდ კვირეული საათობრივი დატვირთვა კლასებისა და საგნების მიხედვით. ასევე, ექსპერტის თქმით, დაწესებულების სასკოლო სასწავლო გეგმის ორივე პროექტში შეინიშნებოდა ჩანაწერები მუხლებისა და პუნქტების შესახებ, თუმცა, წარმოდგენილი დოკუმენტის სტრუქტურა არ იყო ორგანიზებული მუხლებად და პუნქტებად. მაგალითად, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტის მიხედვით, სკოლა ეყრდნობოდა რა ეროვნული სასწავლო გეგმის 8[1] მუხლს, გეგმავდა, რომ იმ შემთხვევაში თუკი დაწესებულებაში ისწავლიდნენ ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი მოსწავლეები, შესთავაზებდა მშობლიური ენის საგნის სწავლებას იმავე ან განსხვავებული საათობრივი დატვირთვით, ვიდრე მოცემული იყო არაქართულენოვანი სკოლების/სექტორების საათობრივ ბადეში საგნისთვის ,,ეროვნული უმცირესობების ენა“. აღნიშნული საგნის სწავლების შეფასების ნაწილში კი უთითებდა იმავე გეგმის 31-ე მუხლის 1-ელი და მე-2-ე პუნქტით დადგენილ წესს. ექსპერტის თქმით, სასკოლო დოკუმენტაციაში ფიქსირდებოდა კიდევ ერთი შეუსაბამობა, კერძოდ, დაწესებულებას სასკოლო დღის განრიგით განსაზღვრული ჰქონდა მოსწავლეთათვის სადილის დრო, რომელიც პირველად სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ნარატივის სახით იყო 20-წუთიანი, ხოლო იმავე პროექტში ცხრილში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, 15-წუთიანი. აქვე, ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულების მიერ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას, სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში განხორციელებული ცვლილების შედეგად აღნიშნული შეუსაბამობა დაწესებულებამ გამოასწორა.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში იკითხებოდა შემდეგი ჩანაწერი: ,,საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 4 სექტემბრის N94/ნ ბრძანების საფუძველზე, მასწავლებლები 2021-2022 სასწავლო წლიდან მოსწავლეთა დასწრებას, აღრიცხვასა და შეფასებას აწარმოებენ ელექტრონული ჟურნალის შესაბამის პლატფორმაზე“. ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, აღნიშნული ჩანაწერი შეუსაბამო იყო იმ სკოლის სასკოლოს სასწავლო გეგმის პროექტისათვის, რომელიც ცდილობდა საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტით წარმოდგენილ საათობრივ ბადეში შემცირებული იყო საათები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. პირველ და მეორე კლასებში ქართული ენა და ლიტერატურა ისწავლებოდა 6 საათიანი დატვირთვით, ნაცვლად 7 საათისა. მესამე და მეოთხე კლასებში ისწავლებოდა 5 საათიანი დატვირთვით ნაცვლად 6 საათისა. მათემატიკაში მეექვსე კლასში გაზრდილი იყო კვირეული დატვირთვა 1 საათით. პირველი უცხოური ენა, ინგლისური ისწავლებოდა პირველი კლასის პირველი სემესტრიდან 2 საათიანი კვირეული დატვირთვით. მეორე კლასში ინგლისურს ეთმობოდა 5 კვირეული საათი და შემდეგ კლასებში 3 საათი. დაწესებულება ჭადრაკის სწავლებას გეგმავდა პირველი ოთხი კლასის მანძილზე: თითო საათს პირველ, მესამე და მეოთხე კლასებში და 2 საათს მეორე კლასში. ფაკულტატური სახით სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საათებს ჭადრაკში, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, ისტ-ის, ხელოვნების, გერმანულის, რუსულისა და თურქული ენის საგნებში.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას 1.3. ქვესტანდარტში უფიქსირდებოდა შეუსაბამობა. მან განმარტა, რომ დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტში ასახული ჰქონდა ინკლუზიური განათლების შესახებ თავი, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი ნაწილის ასლს წარმოადგენდა და არ ტოვებდა უშუალოდ სკოლის საჭიროებასა და სკოლის მიზნებზე მორგებული დოკუმენტის შთაბეჭდილებას. მაგალითად, ექსპერტის თქმით, სასკოლო სასწავლო გეგმის სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება და გაცდენების ნაწილში იკითხებოდა, რომ თუ სასკოლო სასწავლო გეგმით

განსაზღვრული იყო წლიური გამოცდის ჩატარება და დადგენილი იყო, რომ მას აბარებდნენ ის სსსმ მოსწავლეებიც, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლობდნენ, სკოლას უნდა უზრუნველყო საგამოცდო მასალის ადაპტირება, ეს მაშინ, როდესაც იმავე სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული იყო, რომ სკოლაში ტარდებოდა მხოლოდ სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნატის გამოცდა. ხათუნა ბარაბაძის თქმით, დაწესებულებას უნდა განესაზღვრა მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის სტრატეგია. მან დაადასტურა, რომ სკოლის მიერ წარმოდგენილ არცერთ დოკუმენტში არ იყო განსაზღვრული თუ როგორ მოახდენდა სკოლა მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველად მართვას. ხათუნა ბარაბაძემ დაადასტურა, რომ დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში დაიწყო აღნიშნული საკითხის გამოსწორება. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ 1.5 ქვესტანდარტთან მიმართებით, ექსპერტების მხრიდან გაიცა სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, დაწესებულებას უნდა გაეწერა მშობელთა კლუბის ფორმირების პროცედურები. ხათუნა ბარაბაძემ დაადასტურა, რომ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები დაწესებულებამ გაითვალისწინა.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, ისაუბრა ავტორიზაციის მე-2-ე სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლაში არ იყო დამონტაჟებული კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორები, ასევე, დაწესებულებას, არ ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული ,,უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“. ექსპერტის თქმით, აღნიშნული დოკუმენტი დაწესებულებას არც არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას ჰქონდა წარმოდგენილი. ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ სკოლის ეზოში არ იყო შექმნილი მოსწავლეთათვის უსაფრთხო გარემო, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ ეზოში, ღია სპორტული მოედანი განთავსებული იყო მანქანების სავალი ნაწილის მახლობლად, ხოლო მანქანების სავალი ნაწილი არ იყო გამიჯნული და დაცული ისე, რომ მოსწავლე ვერ მომხვდარიყო ამ ნაწილში თავისუფლად, რაც, თავის მხრივ, საფრთხისშემცველი იყო მოსწავლეების ჯანმრთელობისათვის. ხათუნა ბარაბაძის თქმით, არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას სკოლამ განმარტა, რომ მან გამიჯნა სავალი ნაწილი ეზოსგან, ღია სპორტული მოედანი გადაიტანა გრუნტიან ტერიტორიაზე, დაამონტაჟა კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორები, თუმცა, აღნიშნული განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის შემდგომ და შესაბამისად, ექსპერტებს გადამოწმების საშუალება უკვე აღარ ჰქონდათ.

ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განმარტა, რომ სკოლის შრომის უსართხოების სპეციალისტის მიერ არ იყო იდენტიფიცირებული და შეფასებული საფრთხეები სპორტულ დარბაზში არსებულ მდგომარეობასთან დაკავშირებით: ექსპერტის თქმით, დარბაზში იყო ანტისანიტარია, ამავე ტერიტორიაზე, წესების დარღვევით იყო შენახული საწმენდი საშუალებები, არ იყო დამონტაჟებული კვამლსაწინააღმდეგო დეტექტორები. დაწესებულებას, ასევე, არ ჰქონდა წარმოდგენილი ადაპტაციის წესი, მაშინ როდესაც, დებულებასა და უსაფრთხოების დოკუმენტშიც არაერთგზის აღნიშნდებოდა სკოლის მხრიდან ზრუნვა მოსწავლეთა ადაპტაციისთვის. ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისად, სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის დაფიქსირებისას წარმოადგინა შემუშავებული ადაპტაციის წესი.

აქვე, ხათუნა ბარაბაძემ დასძინა, რომ სკოლას არ წარმოუდგენია ჰაერის შემცველობის ანალიზი. მისი თქმით, სკოლას ჰყავდა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელთანაც ხელშეკრულება გაფორმებული იყო 2022 წლის ნოემბერში. მისი ფუნქციები და ვალდებულებები გაწერილი იყო დებულებაშიც, კერძოდ: მუხლი 18-ის მიხედვით, შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ფუნქციებში შედიოდა შემდეგი: „1. სკოლაში საფრთხეების და რისკების იდენტიფიცირება, შესაბამისი პრევენციული ზომების შემუშავება (ამასთან საგანგებო სიტუაციების მართვა) და აღნიშნული სისტემის კონტროლი; 4. შრომის უსაფრთხოების გეგმისა და პროცედურების შემუშავებაში ხელშეწყობა; 15. კონკრეტულ სამუშაო ადგილებზე სამუშაო პირობების შესწავლის ორგანიზება, სამუშაო ადგილებისა და საწარმოო დანადგარების ატესტაცია შრომისა და ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნათა შესაბამისად, სახიფათო და

მავნე საწარმოო ფაქტორების განმსაზღვრელი პარამეტრების გაზომვა, დაგეგმილი გასატარებელი ღონისძიებების (მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო მომზადების) კონტროლი; 16. დამსაქმებელთა სახელით, თანამშრომლების პერმანენტული ინფორმირება შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების ნორმების, მავნე და სახიფათო საწარმოო ფაქტორების პრევენციისათვის გატარებული ღონისძიებების შესახებ; საწარმოო ტრავმის და/ან უბედური შემთხვევის დროს, თანამშრომელთა ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, საკომპენსაციო სისტემის გამართვა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება;“ ხათუნა ბარაბაძემ განაცხადა, რომ სპორტულ დარბაზში არსებულ ანტისანიტარიასა და მძიმე სუნთან დაკავშირებით შრომის სპეციალისტთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ის არ ფლობდა დარბაზში არსებული მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, ასევე, არ იცოდა დაწესებულების მეორე და მესამე სართულებზე კვამლის დეტექტორების არარსებობის შესახებ. ხათუნა ბარაბაძის თქმით, სკოლის მიერ არ იყო წარმოდგენილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის სამოქმედო გეგმა. აქვე, ხათუნა ბარაბაძემ დასძინა, რომ მას შემდეგ რაც ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა სამოქმედო გეგმა, სკოლამ წარმოადგინა ის, სადაც ერთ-ერთ პუნქტად იკითხებოდა, რომ ჰაერის შემადგნელობის კონტროლი მარტის თვეში იყო დაგეგმილი, თუმცა, არგუმენტირებული პოზიციის დროს მას არ წარმოუდგენია აღნიშნული დოკუემენტი. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ 2022 წლის ნოემბრიდან ექსპერტთა მისვლის დრომდე, სკოლას ჰქონდა საკმარისი დრო აღნიშნული საკითხების მოწესრიგების მიზნით და მხოლოდ რეკომენდაციების საფუძველზე მარტის თვეში არ უნდა დაწერილიყო მნიშვნელოვანი აქტივობები.

ექსპერტის თქმით, სკოლის პირველ სართულზე, შესასვლელში განთავსებული იყო სპორტული დარბაზი და გასახდელები გოგნებისთვის და ვაჟებისთვის, ასევე, სკოლას შეძენილი ჰქონდა სხვადასხვა სახის სპორტული ინვენტარი: ბურთები, ჩოგბურთის მაგიდები და შესაბამისი ჩოგნები, ჭადრაკის დაფები და სხვ. ექსპერტის თქმით, გასახდელებით შესაძლებელი იყო სპორტულ დარბაზში მოხვედრა, თუმცა, ის არ იყო გათვლილი სსსმ მოსწავლის გადაადგილებაზე. დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტების რეკომენდაციის შემდეგ, ვიზიტის პერიოდში დაამონტაჟეს დარბაზში ჩასასვლელ ძირითად კიბეზე სპეციალური პანდუსები. ექსპერტის თქმით, დარბაზში იატაკი იყო ამოტეხილი, რაც საფრთხის შემცვლელი იყო მოსწავლეებისთვის. ხათუნა ბარაბაძემ დაადასტურა, რომ აღნიშნული შეუსაბამობა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში გამოასწორა დაწესებულებამ.

ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, სკოლის ტერიტორიის დათვალიერებისას სპორტულ დარბაზში შეიმჩნეოდა ნესტისა და შმორის მძაფრი სუნი. დამხმარე ოთახების გახსნის დროს აღმოჩნდა, რომ სპორტული დარბაზის ოთახები გამოყენებული იყო სათავსოებად, იყო ანტისანიტარია, ხოლო ერთ დამხმარე ოთახში განთავსებული იყო პლასტმასის ბალონები დასუფთავებისთვის საჭირო ქიმიური საშუალებებით. იმავე ოთახში იდო დაკოროზირებული, მოძრავი ფარის გირი. კოროზიის გამომწვევი მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო ნესტიც და დაღვრილი ქიმიური საშუალებაც. ექსპერტების მხრიდან გაცემული რეკომენდაციის შემდეგ, დამხმარე ოთახები გამოსუფთავდა, დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნული სივრციდან კოროზირებული „გირი“ გაიტანეს და აღმოჩნდა, რომ გამათბობელი მოწყობილობაც (რადიატორიც) იყო დაზიანებული და კოროზიის პროცესი იქაც იყო გადასული. ამ გარემოებას შეიძლება გამოეწვია რადიატორის მწყობრიდან გამოსვლა (გახეთქვა), წყლის დაცლა. გამომდინარე იქედან, რომ ცეცხლფარეშიც არ ჰყავდა სკოლას, მოსალოდნელი რისკები შესაძლო იყო სავალალო გამხდარიყო გათბობის სისტემისთვის.

ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ დაწესებულებას 2.6. ქვესტადანდარტთან მიმართებით უფიქსირდებოდა შეუსაბამობა, კერძოდ, სკოლის შიდა და გარე პერიმეტრი სრულად ვერ კონტროლდებოდა. სკოლის შენობის ვიდეოდათვალიერება ხდებოდა 31 კამერის მეშვეობით, გარე პერიმეტრზე ფიქსირდებოდა რამდენიმე დაუფარავი ადგილი, რომელიც ვერ

კონტროლდებოდა, ასევე, სკოლის შიდა პერიმეტრზე კიბის უჯრედების მხოლოდ მცირე ნაწილი კონტროლდებოდა და დიდი ნაწილი უკონტროლოდ რჩებოდა. სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას განაცხადა, რომ დაამატა კამერები.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ ექსპერტთა მიერ სტანდარტის უკეთ შესაბამისობის მიზნით, ექსპერტების მხრიდან 2.6. ქვესტანდარტთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია: კერძოდ სკოლას დაწვრილებით გაეწერა მორიგე მასწავლებლის ფუნქცია-მოვალეობები, პროცედურები და პასუხისმგებლობები. არგუმენტირებულ პოზიციაში სკოლამ განმარტა, რომ მორიგეობის სისტემა მასწავლებლებიდან გადაიტანა კლასის დამრიგებლებზე, თუმცა პასუხისმგებლობის ზომები კვლავ ბუნდოვანი რჩებოდა. ასევე, ექსპერტების მხრიდან 2.7. ქვესტანდარტთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებას მარეგულირებელი დოკუმენტები მოეყვანა შესაბამისობაში და ყურადღება მიექცია ერთმანეთის გამომრიცხავი დებულებებისთვის. ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, სკოლის დებულების მუხლი 7. სკოლის სტრუქტურა: წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულები არ შეესაბამებოდა სკოლის საშტატო განრიგს. დირექტორის ფუნქციებში არ იყო გაწერილი, კერძოდ, რომ ის ამტკიცებდა სასკოლო სასწავლო გეგმას, ხოლო სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ. ექსპერტის თქმით, სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული იყო დირექტორის მოადგილის ერთი შტატი, ხოლო დებულებაში დაფიქსირებული იყო ასევე დირექტორის მოადგილის შტატის არსებობა სასწავლო დარგში. ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, დირექტორის მოადგილის ფუნქციებში არსებული ჩანაწერის მიხედვით, ის ახორციელებდა მასწავლებელთა და მოსწავლეთა სასკოლო მორიგეობაზე კონტროლს, თუმცა, ექსპერტებისთვის გაუგებარი იყო რა სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენდა მორიგე მასწავლებელი და სად იყო მისი ფუნქციები გაწერილი. ექსპერტის თქმით, მსგავსი შინაარსობრივი უზუსტობები შეიმჩნეოდა სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებშიც. ექსპერტმა დაადასტურა, რომ აღნიშნული რეკომენდაციები და მიგნებები სკოლამ გაითვალისწინა და ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა შეცვლილი დოკუმენტაცია.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი SWOT ანალიზი სრულად ვერ ასახავდა სკოლაში არსებულ ვითარებას. მაგალითად, სკოლაში დასაქმებული იყო სხვადასხვა სკოლებში მომუშავე მასწავლებლები, რომლებიც ორ სხვადასხვა ქალაქში საქმიანობდნენ. 23 მასწავლებლიდან - 14 მასწავლებელი დღემდე მუშაობდა სხვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში, რომელიც თბილისში ფუნქციონირებდა. მათ შორის, იყო 5 დაწყებითის მასწავლებელი. ექსპერტმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ კანონმდებლობა არ კრძალავდა სხვადასხვა სკოლაში მუშაობას, ბუნდოვანი იყო როგორ შეეძლო დაწყებითების მასწავლებლებს ორ სკოლაში მუშაობა, მაშინ როცა შრომითი ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის მიხედვით, დასაქმებულის სამუშაო დრო განისაზღვრებოდა 9:00 საათიდან 16:00 საათამდე. ექსპერტ, ხათუნა ბარაბაძის განმარტებით, მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ნაწილი ზემოხსენებული 14 მასწავლებლიდან არ აპირებდა არჩევანის გაკეთებას ერთ-ერთ რომელიმე სკოლაზე. ექსპერტის თქმით, აღნიშნული ფაქტი უნდა ყოფილიყო საყურადღებო სკოლისთვის და სკოლის წარმომადგენლებს უნდა აესახათ ის ანალიზის დოკუმენტში გასაუმჯობესებელ მხარედ. ამასთან, რისკის ქვეშ დგებოდა სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელება.
ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, ისაუბრა, ასევე, მესამე სტანდარტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დარღვეული იყო მასწავლებელთა მიღების წესი, რადგან სტატუსის მაძიებელი სკოლის მიერ არ მოხდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის გავლით მართვის საინფორმაციო სისტემასთან დაკავშირება, მაშინ როდესაც ვაკანსიების გამოცხადების გვერდი (www.pedagogi.ge) განკუთვნილი იყო მხოლოდ ავტორიზებული სკოლებისთვის.
ექსპერტის თქმით, დაწესებულებაში დასაქმებული იყო 36 თანამშრომელი, რომელთა შორის 23 იყო მასწავლებელი: 14 უფროსი, 6 მოწვეული, 3 მაძიებელი მასწავლებელი. ექსპერტმა განმარტა, რომ სტატუსის მაძიებელი სკოლის მასწავლებლები შერჩეული იყვნენ ,,ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და

შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად. მაძიებელ სკოლას, ვაკანსიების განთავსებისა და მასწავლებელთა მიღების მიზნით, უნდა მიემართა სსიპ-მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის. ხათუნა ბარაბაძის თქმით, დაწესებულებამ არ მიმართა მასწავლებლის სახლს და დამოუკიდებლად შეეცადა განეთავსებინა ვაკანსია pedagogi.ge -ზე, მისი თქმით, 2023 წლის 28 თებერვლის მდგომარეობით eschool-ის ბაზაში შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა ლიცეუმი იძებნებოდა, მოქმედი სტატუსით. აღნიშნულ სკოლას ავტორიზაცია გაუუქმდა 2020 წელს, რომლის თაობაზეც, სსიპ-ხარისხის განვითარების ეროვნულმა ცენტრმა მიმართა სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას, ზემოაღნიშნული სკოლისთვის მოქმედის სტატუსის შეწყვეტის მიზნით. ექსპერტის თქმით, სკოლამ გამოაცხადა შეუფერხებლად ვაკანსიები, ჩაატარა კონკურსი და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულმა ცენტრმა დაუდასტურა მაძიებლის სტატუსის მასწავლებლები იმ დროს, როდესაც ჯერ არ არსებობდა იურიდიული საფუძვლები ამ მასწავლებლების მაძიებლად, ან თუნდაც უფროს მასწავლებლად დაფიქსირებისა. მასწავლებლობის მაძიებლობის დადასტურებისა და სქემაში მასწავლებლების ჩართვის პროცედურა უნდა განხორციელებულიყო მას მერე, რაც მაძიებელი სკოლა გაივლიდა ავტორიზაციის პროცედურას და მიიღებდა მოქმედი სკოლის სტატუსს. აქედან გამომდინარე, ხათუნა ბარაბაძემ განმარტა, რომ მაძიებელი სკოლის მიერ გამოცხადებული ვაკანსიების პროცედურა კანონსაწინააღმდეგო იყო, რადგან ვაკანსიების გამოცხადება და მასწავლებელთა აყვანა განხორციელდა, როგორც მოქმედი სკოლის მიერ და არ იყო ცნობილი სსიპ - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრისთვის. შესაბამისად, სკოლის მიერ მასწავლებლებთან გასაფორმებელი ხელშეკრულებების საფუძველი უნდა ყოფილიყო „მასწავლებლის სახლიდან“ მიღებული დასტური იმის შესახებ, რომ პოტენციური მასწავლებლების კვალიფიკაცია შესაბამისი იყო არსებული სტატუსების იმ მასწავლებლებთან მიმართებით მაინც, ვისაც ვერ უდასტურდებოდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემით განსაზღვრული ერთ-ერთი სტატუსი შესაბამისი სერტიფიკატით. აღნიშნულთან დაკავშირებით, ექსპერტერთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც, დაწესებულებას უნდა უზრუნველყო ღონისძიებების გატარება მასწავლებელთა ვაკანსიების გამოსაცხადებლად და კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ასევე, ექსპერტების მხრიდან გაიცა რჩევა რომლის მიხედვითაც, დაწესებულებას მასწავლებლები უნდა დაესაქმებინა ახლო მდებარე სკოლებიდან, რადგან მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ 14 მასწავლებლისგან რამდენიმე არ აპირებდა არჩევანი გაეკეთებინა ერთ-ერთ რომელიმე სკოლაზე, რაც ექსპერტთა აზრით, საფრთხეს უქმნიდა საგაკვეთილო პროცესის შეუფერხელ წარმართავასა და, ასევე, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განმარტა, რომ აღნიშნული გარემოების გამო, სკოლა შესაძლებელია დარჩენილიყო მასწავლებლის გარეშე (უარის თქმის შემთხვევაში) და საჭირო გამხდარიყო აყვანილი ადამიანური რესურსისა და განხორციელებული პროცედურების ხელახლა გადამოწება კანონმდებლობასთან შესაბამისობის მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრმა, თამარ მამსიკაშვილმა, განაცხადა, რომ დაწესებულებას 2020 წელს გაუუქმდა ავტორიზაცია. მას შემდეგ დაწესებულებას საავტორიზაციო ვიზიტამდე საკმაო დრო ჰქონდა არსებული შეუსაბამობები გამოესწორებინა და მოეწესრიგებინა დაწესებულებაში არსებული მდგომარეობა. მისი თქმით, არაერთი ხარვეზი ფიქსირიდებოდა სასკოლო სასწავლო გეგმაში. საათობრივ ბადეში, დაწესებულებას შემცირებული ჰქონდა საათები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ანტისანიტარია შეიმჩნეოდა სპორტულ დარბაზში, ასევე, არ იყო დაცული უსაფრთხოების ზომები. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, დაეზუსტებინათ, თუ რამ განაპირობა დაწესებულებაში არსებული შეუსაბამობების არსებობა

და რატომ ვერ შეძლო სკოლამ მათი დროულად გამოსწორება. ასევე, თამარ მამსიკაშვილმა მიმართა სკოლის წარმომადგენლებს განემარტათ თუ როგორ შეძლებდა ის 14 მასწავლებელი ერთსა და იმავე ცვლაში მუშაობს, რომლებიც პარალელურად სხვა სკოლაშიც ასწავლიდნენ. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, სკოლის ხარისხის მართვის მენეჯერმა, ნოდარ ანგურიძემ, განმარტა, რომ დასკვნაში ასახული ყველა ხარვეზი დაწესებულებაში აღმოფხვრილი იყო, ასევე, ექსპერტების მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია დაწესებულებამ გაითვალისწინა. რაც შეეხებოდა ქართულ ენასა და ლიტერატურაში შემცირებულ საათებს, სკოლის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეროვნული სასწავლო გეგმა დაწესებულებას აძლევდა უფლებას შეეცვალა საათობრივი ბადე და შეეთანხმებინა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან, რომელმაც შეითანხმა დაწესებულების საათობრივი ბადე. სკოლამ ფაკულტატური სახით გაზარდა საათები ქართულ ენასა და ლიტერატურაში. აქვე, ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ საავტორიზაციო განაცხადთან ერთად გადმოგზავნილი სასკოლო სასწავლო გეგმა მოიცავდა მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული სირთულის პირველადი მართვის სტრატეგიას. ნოდარ ანგურიძემ განმარტა, რომ დაწესებულებამ მიმართა ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ბიუროსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს სპორტულ დარბაზში არსებული ჰაერის შემცველობის ანალიზის გაკეთების მიზნით, თუმცა, მისი თქმით, ორივე ინსტიტუციამ დაადასტურა, რომ ექსპერტიზის ამგვარი ფორმა არ არსებობდა. ნოდარ ანგურიძს თქმით, დაწესებულების სპორტულ დარბაზში არსებული მდგომარეობა გამოსწორებული იყო. ასევე, საჭირო ადგილას დამონტაჟდა პანდუსები. რაც შეეხებოდა შეკითხვას პარალელურ სკოლებში მომუშავე მასწავლებლების შესახებ, ნოდარ ანგურიძემ, განმარტა, რომ დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებისგან მსგავსი შემთხვევა არ ფიქსირდებოდა, საათობრივად მომუშავე მასწავლებელს კი ეძლეოდა უფლება ემუშავა რამდენიმე სკოლაში.

საბჭოს წევრმა მაკა მამფორიამ აღნიშნა, რომ დაწესებულების მისიაში გაცხადებული იყო, აღეზარდათ ტექნოლოგიური მიღწევის ეფექტიანად გამოყენების უნარის მქონე პიროვნება. მან მიმართა ექსპერტებს დაეზუსტებინათ, რამდენად უწყობდა ხელს დაწესებულებაში არსებული გარემო აღნიშნული მისიის მიღწევას. დასმული შეკითხვის საპასუხოდ, ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განმარტა, რომ დაწესებულებაში გამართულად მუშაობდა ინტერნეტი, ასევე, ფუნქციონირებდა კომპიუტერული ოთახი.

საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, განემარტათ, როგორი იყო მათი სამომავლო ხედვა, ასევე, ჰქონდა თუ არა შემუშავებული განვითარების გეგმა.

სკოლის დირექტორმა, მარეხ ყანჩაველმა, განმარტა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო გეგმის პროექტი და დაწესებულების ხედვა, თუ რას განახორციელებდა ის მომავალში იმისათვის რათა, სკოლა განვითარებულიყო, შეესრულებინა ყველა ის ფუნქცია იმისათვის, რათა მიეღწია სკოლის მისიით განსაზღვრული მიზნებისთვის. მისი თქმით, გასულ პერიოდში მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობდნენ ადგილობრივ და რეგიონის ღონისძიებებში. დაწესებულებისთვის ფასეული იყო ბედნიერი და კმაყოფილი მშობლები, რომლებმაც ანდეს საკუთარი შვილების მომავალი სკოლას. მარეხ ყანჩაველის განმარტებით, დაწესებულება მოსწავლეებს აძლევდა ცოდნის ბაზას და, ასევე, ცდილობდა ყველა მოსწავლეს დახმარებოდა ადაპტაციასა და საზოგოდადოებაში თავის დამკვიდრებაში. მისი თქმით, დაწესებულებას ყოველწლიურად ჰყავდა ოქროსმედალოსანი მოსწავლეები და ქვეყნის მასშტაბით ათეულში შესული საუკეთესო შედეგების მქონე მოსწავლეები. სკოლის იურისტმა, სალომე ოსეფაშვილმა, განმარტა, რომ საათობრივი ბადის შეთანხმების მიზნით, დაწესებულებამ მიმართა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. აღნიშნული დოკუმენტის განხილვის შემდგომ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან განიმარტა, რომ წარმოდგენილი საათების მიხედვით, მათ შორის, ქართულ ენასა და ლიტერატურაში, დაწყებითი საფეხურის შემთხვევაში დატვირთვა იყო მაღალი, რის შედეგადაც, დაწესებულებამ სამინისტროს რჩევის საფუძველზე, შემცირებულიყო დატვირთვა, მოკლებული საათები გადაანაწილა

ფაკულტატური სახით. სალომე ოსეფაშვილის თქმით, 2020 წელს სკოლას გაუუქმდა ავტორიზაცია, რომლის შემდეგაც სკოლამ შეასრულა კანონმდებლობით დაგდენილი ყველა ვალდებულება, მათ შორის, რესურს-ცენტრის ინფორმირება ყველა იმ მოსწავლის პირადი საქმის შესახებ, რომლებიც მობილობით არ გადავიდნენ სკოლიდან. სალომე ოსეფაშვილმა, ასევე, განმარტა, რომ მან მიმართა მასწავლებლის სახლს შეკითხვით, თუ ვის ჰქონდა ვალდებულება ეცნობებინა მასწავლებელთა სახლისათვის, ასევე, მართვის საინფორმაციო ცენტრისთვის სკოლის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ. იურისტმა დასძინა, რომ აღნიშნული შეკითხვებზე მან მიიღო სხვა შინაარსის პასუხი. ასევე, მისი განმარტებით, ის ესაუბრა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას რომელმაც დაადასტურა, რომ სკოლისათვის ავტორიზაციის გაუქმების შესახებ შესაბამისი ინსტიტუციებისთვის უნდა ეცნობებინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს. სალომე ოსეფაშვილმა, განაცხადა, რომ ამ პერიოდის განმავალობაში დაწესებულებას არ უსარგებლია არც eschool- ის ბაზით და არც teachers.gov.ge-ით. მისი თქმით, დაწესებულებისთვის არ იყო ცნობილი რომ აღნიშნულ საიტზე ინფორმაციის განთავსების მიზნით, ის საჭიროებდა ნებართვის აღებას, რადგან არცერთი ნორმატიული აქტით არ იყო გაწერილი აღნიშნულის შესახებ. ექსპერტმა, ხათუნა ბარაბაძემ, განაცხადა, რომ 174/ნ ბრძანების მიხედვით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება იყო უფლებამოსილი ვებ-გვერდზე განეთავსებინა შესაბამისი მასალა, თუმცა, შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმი იმ პერიოდისთვის არ წარმოადგენდა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და, შესაბამისად, არ იყო უფლებამოსილი ამ თვალსაზრისით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს ხომ არ ჰქონდათ შეკითხვა ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.

საბჭოს წევრებს შეკითხვა არ ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 200 -ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 0
წინააღმდეგი - 12

გადაწყვეტილება:
,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს შოთა რუსთაველის სახელობის სკოლა-ლიცეუმს (ს/კ: 216441358) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

საბჭოს წევრებმა, მაკა მამფორიამ და თამარ მამსიკაშილმა განაცხადეს, რომ გადაწყვეტილების მიღებისას ისინი დაეყრდნენ ექსპერტთა დასკვნას, ასევე, მათ ვერ მოისმინეს არგუმენტირებული პასუხები სკოლის მხრიდან და ვერ დაინახეს სკოლის განვითარების ხედვა. საბჭოს წევრმა, შალვა მეკრავიშვილმა გაიზიარა მაკა მამფორიასა და თამარ მამსიკაშვილის მოსაზრება, ასევე, დასძინა, რომ სკოლაში სათანადოდ არ იყო დაცული უსაფრთხოების

ზომები. საბჭოს თავმჯდომარემ, დავით მალაზონიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადიოდა პირველად ავტორიზაციას, უნდა ჰქონოდა ხედვა, განვითარების პერსპექტივა. მისი თქმით, დაწესებულება არ იყო მზად ავტორიზაციისთვის.
საბჭოს წევრმა, ზვიად გოგუაძემ, განმარტა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას მისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭებოდა სკოლის მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პასუხებს დასკვნაში დაფიქსირებულ შეუსაბამობებთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ სკოლის მხრიდან ვერ მიიღო დამაჯერებელი პასუხები, რაც გააბათილებდა დასკვნაში არსებულ ხარვეზებს და სკოლისათვის ავტორიზაციის მინიჭებას გადააწყვეტინებდა.
საბჭოს წევრების შეფასებით, დაწესებულებას ჰქონდა სათანადო დრო, სრულფასოვნად მომზადებულიყო ავტორიზაციის პროცესისთვის და ხელახალი ავტორიზაციის განაცხადის გაკეთების დროისთვის, სტანდარტებთან შესაბამისობის საკითხი ეჭვქვეშ არ დაეყენებინა. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საბჭოს ზეპირ განხილვაზე წარმოდგენილი პოზიციების საფუძველზე იკვეთებოდა, რომ დაწესებულება არსებულ ხარვეზებზე რეაგირებდა ექსპერტთა ჯგუფის აღნიშვნების შემდეგ. ამასთან, აღნიშნული შეუსაბამობებიდან რიგი გარემოებები დაწესებულებამ ვიზიტის შემდგომ მიიღო მხედველობაში, რისი დამატებით შეფასების შესაძლებლობა ექსპერტებს არ ჰქონდათ და, შესაბამისად, საბჭოც ვერ გაითვალისწინებდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2. შპს N1 სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას და დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას დასკვნის პროექტთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს მდივანს სთხოვა, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.
ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს სხდომაზე წარადგინეს ექსპერტებმა, ქეთევან ბოტკოველმა და იზაბელა იოსელიანმა.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ საავტორიზაციო ვიზიტი დაწესებულებაში განხორციელდა 2023 წლის 05 და 06 აპრილს. მისი თქმით, დაწესებულება მდებარეობდა ქალაქ ქუთაისში, ირაკლი აბაშიძის N13-ში მდებარე 1345 კვ.მ. არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ფართზე განთავსებულ 2 შენობა-ნაგებობაში. შენობა N1 განთავსებული იყო 1850.01 კვ.მ. ფართზე, მათ შორის, პირვეელი სართული ფართით -708.74 კვ.მ, მეორე სართული ფართით 678.78 კვ.მ. და მესამე სართული ფართით 462.49 კვ.მ. შენობა N2 კი განთავსებული იყო 226.24 კვ.მ. ფართზე.
ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, სკოლის მფლობელობაში არსებულ ფართში განთავსებული იყო 39 ოთახი, მათ შორის მათ შორის 28 საკლასო ოთახი, 6 დამხმარე ოთახი განაყოფებისთვის, კომპიუტერული კლასი, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კაბინეტი, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ექიმის კაბინეტი, ასევე, 66.23 კვ.მ ოთახი, რომელსაც სკოლა იყენებდა მუსიკის გაკვეთილებისათვის და სასკოლო აქტივობებისთვის. ყველა საკლასო ოთახი აღჭურვილი იყო მოსწავლის მერხებითა და სკამებით, დაფებით, სასწავლო რესურსებითა და თვალსაჩინოებებით. ქეთევან ბოტკოველმა, განაცადა, რომ ექსპერტთა მიერ საკლასო ოთახების ფართის შეფასების შედეგებით დადგინდა, რომ მათში საერთო ჯამში შესაძლებელი იყო 400 მოსწავლის მაგიდისა და სკამის განთავსება.

ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის, განცხადებით, დაწესებულებაში არსებული ექიმის კაბინეტი მოწყობილი იყო კანონმდებლობის შესაბამისად და აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით, მათ შორის, სამედიცინო საწოლით, საკაცით, სამედიცინო შირმით, კარადა მედიკამენტებისათვის, მაცივარ-საყინულით, სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო ფარმაცევტული საშუალებებითა და სამედიცინო დანიშნულების საგნებით. ოთახში დამონტაჟებული იყო, ასევე, წყლის ნიჟარა ცივი და ცხელი წყლით. კაბინეტს ჰქონდა ბუნებრივი განათებისა და განიავების შესაძლებლობა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლის ბალანსზე ირიცხებოდა 22 პერსონალური კომპიუტერი, 4 პროექტორი, 2 ლეპტოპი, რომლებიც ჩართული იყო ინტერნეტქსელში. სკოლა, ასევე, ფლობდა 5 შავ-თეთრ პრინტერს, რომლებიც გამოიყენებოდა, როგორც სასწავლო მიზნებისათვის, ასევ,ე საქმისწარმოებისათვის. კომპიუტერულ კლასში განთვასებული იყო 17 პერსონალური კომპიუტერი.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლის მიერ შემუშავებული იყო ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე, სტიქიური უბედურებებისა და მასობრივი კატასტროფების დროს (ხანძარი, ელექტროტრამვა, მიწისძვრა, მეწყერი, ღვარცოფი) განსახორციელებელი სამუშაოების გეგმა და დაცვის მექანიზმები. შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლას ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული შპს ჯეო სეიფთთან, რომლის მიერ მიერ შემუშავებული იყო რისკების შეფასების ცხრილი და წარმოდგენლი იყო შესაბამისი დასკვნები. დაწესებულებაში, ასევე, შემუშავებული იყო შრომის უსაფრთხოების გეგმა და მათი ინსპექტირების წესები, რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდოლოგია, სახანძრო უსაფრთხოების ზომების ინსტრუქცია, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. ექსპერტმა განაცხადა, რომ დაწესებულებამ წარმოადგინა ანგარიშფაქტურა, შპს „უსაფრთხოების“ მიერ გაწეული ელექტრო დანადგარების, მეხამრიდების პროფილაქტიკური შემოწმებისა და დამიწების კონტურის წინაღობის გაზომვითი სამუშაოების ჩატარების შესახებ. ასევე, სკოლამ წარმოადგინა შპს „იმერეთის სახანძრო დაცვის“ ჯგუფის მიერ ჩატარებული სამუშაოების ინვოისი, რითაც დასტურდებოდა ხის კონსტრუქციების დამუშავება სახანძრო და ანტისეპტიკური ხსნარით. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლის ეზოში განთავსებული იყო სახანძრო ფარი, შესაბამისი მოწყობილობით: 2 ცეცხლმაქრი, წერაქვი, ნიჩაბი, ბაგორი, 2 კონუსური ვედრო. შენობაში განთავსებული იყო, ასევე, წესების დაცვით დატენილი, ვადიანი ცეცხლმაქრები (10) და გამოკრული იყო 6 მიმართულების ელექტრო მანიშნებლები EXIT, 4 ავარიული განათება. სკოლის შესასვლელში თვალსაჩინო ადგილზე გამოკრული იყო საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). ექსპერტის თქმით, სკოლის გარე პერიმეტრს აკონტროლებდა 5 ერთეული, ხოლო შიდა პერიმეტრს 11 ერთეული ვიდეო სამეთვალყურეო კამერა.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლას შემუშავებული ჰქონდა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დოკუმენტი, რომელიც დამტკიცებული იყო სკოლის დირექტორის მიერ. აქვე, ექსპერტმა დასძინა, რომ დასკვნა დოკუმენტის შესახებ სკოლას 2020 წლის 05 თებერვალს გადმოეგზავნა განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროს მიერ, რომლის თანახმად, სკოლას მიეცა რამდენიმე რეკომენდაცია. ექსპერტის თქმით, ძირითადი შენიშვნები გაცემული იყო მანდატურის სამსახურთან დაკავშირებით, რომელიც ფიგურირებდა დოკუმენტში, თუმცა, სკოლას აღნიშნულ სამსახურთან ხელშეკრულება არ ჰქონდა გაფორმებული. ქეთევან ბოტკოველის თქმით, დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია, შესაბამისად სკოლაში შეიქმნა უსაფრთხო სკოლის მენეჯერის ახალი პოზიცია და უსაფრთხოების მრჩეველთა საბჭო, რომელმაც შეიმუშავა სკოლის უსაფრთხოების საბჭოს წლიური სამუშაო გეგმა, ასევე, დირექტორის ბრძანებით უსაფრთხო სკოლის მენეჯერის არყოფნის შემთხვევაში გამოიყო პირი, რომელიც შეასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. აქვე, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სკოლას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ასაკობრივი ფსიქოლოგიისა და პედაგოგიკის დეპარტამენტი აქტიურად

თანამშრომლობდა სკოლასთან და საჭიროების შემთხვევაში დახმარებას უწევდა მათ პრობლემების დაძლევაში. ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლის ფსიქოლოგის მოვალეობები შეთავსებული ჰქონდა ხარისხის მართვის მენეჯერს, რომელსაც დამთავრებული ჰქონდა გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკურ მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის ასპირანტურა, ასაკობრივი და პედაგოგიური ფსიქოლოგიის მიმართულებით. სკოლამ წარმოადგინა, ასევე, დამრიგებელთა მორიგეობის განრიგი, რომლებიც უზრუნველყოფდნენ წესრიგის დაცვას და ზრუნავდნენ კლასში სასწავლო პროცესის დისციპლინის დაცვასა და ამაღლებაზე.

ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ ექსპერტების მხრიდან ავტორიზაციის მე-2-ე სტანდარტთან მიმართებით გაიცა რამდენიმე რეკომენდაცია. მისი თქმით, სტანდარტთან უკეთ შესაბამისობის მიზნით, სკოლას მიეცა რეკომენდაცია ვებ-გვერდზე მისიის განთავსებასთან დაკავშირებით. აქვე, ქეთევან ბოტკოველმა, დაადასტურა, რომ დაწესებულებამ არგუმენტირებული პოზიიცის წარმოდგენისას აფიქსირებდა, რომ გაითვალისწინა რეკომენდაცია და მისია განათავსა ვებ-გვერდზე. ექსპერტ, ქეთევან ბოტკოველის თქმით, შინაგანაწესის 30-ე მუხლის მე-11-ე პუნქტში დაშვებული იყო ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, დაწესებულების შინაგანაწეში ფიქსირდებოდა ჩანაწერი: ,,მოსწავლეს სტატუსი უწყდება, როცა: მოსწავლე ზედიზედ არ ცხადდება 45 დღე". ქეთევან ბოტკოველის თქმით, სკოლის დირექტორთან გასაუბრებით გაირკვა, რომ ჩანაწერი გულისხმობდა შეჩერებას და არა შეწყვეტას, რასთან დაკავშირებითაც სკოლას მიეცა შესაბამისი რეკომენდაცია: ნაცვლად ჩანაწერისა ,,მოსწავლეს სტატუსი უწყდება, როცა:" შეცვლილიყო ჩანაწერით მოსწავლეს ,,სტატუსი უჩერდება როცა...".

ექსპერტმა ქეთევან ბოტკოველმა განაცხადა, რომ დაწესებულებას ექსწლიან სტრატეგიული განვითარებისა და ერთლიან სამოქმედო გეგმასთან დაკავშრებით მიეცა შესაბამისი რეკომენდაციები, კერძოდ, დაწესებულებას შეემუშავებინა ექვსწლიანი სტრატეგიული განვითარების გრძელვადიანი გეგმის ფორმა, რომელიც მოიცავდა გრძელვადიან მიზნებს და რომლებიც ჩაშლილი იქნებოდა ამოცანებად, შესრულების ინდიკატორებად და გაწერილი იქნებოდა დროში პასუხისმგებელი პირების მითითებით. მისი თქმიღ, სამოქმედო გეგმაში დაწესებულებას უნდა გაეწერა შესასრულებელი ამოცანები და შესრულების ინდიკატორები.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, ისაუბრა, ასევე, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ სკოლაში მუშაობდა 55 თანამშრომელი, მათ შორის, 45 იყო მასწავლებელი. ექსპერტის თქმით, ყველა თანამშრომელთან გაფორმებული იყო შრომითი ხელშეკრულება. ასევე, სკოლის მიერ წარმოდგენილი იყო ნასამართლობის შესახებ ინფორმაციის დამადასტურებელი ცნობა, ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობის შესახებ, ცნობა ნარკოლოგიურ აღრიცხვასთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ მასწავლებლების ხელშეკრულებების ანალიზის პროცესში გამოიკვეთა, რომ მენტორი და წამყვანი მასწავლებლების ხელშეკრულებაში არ იყო ჩანაწერი სტატუსის შესაბამისი ვალდებულებების შესახებ. ხელშეკრულებებში ასევე არ იყო ჩანაწერი თანამდებობრივი განაკვეთის, სახელფასო განაკვეთის, ფაქტობრივად ჩატარებული სამუშაოს ანაზღაურების შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მისცეს რეკომენდაცია, შეიმუშავებინათ ხელშეკრულების თანმდევი შეთანხმება, რომელშიც გათვალისწინებული იქნებოდა და აღიწერებოდა ყველა ზემოჩამოთვლილი პუნქტი. ქეთევან ბოტკოველმა დაადასტურა, რომ სკოლამ გაითვალისწინა ექსპერტების რეკომენდაცია და ვიზიტის მსვლელობისას დაიწყო მუშაობა ხელშეკრულებებზე. ასევე, მისი თქმით, დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა ხელშეკრულება შპს „ჯეო სეფთისთან". ორგანიზაციის აკრედიტებული სპეციალისტები კვალიფიციურ მომსახურებას უწევდნენ სკოლას შრომის უსაფრთხოების

საკითხებში, რეკომენდაციებისა და ტრენინგების სახით. აქვე, ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ექსპერტების მხრიდან სკოლას მიეცა რეკომენდაცია გამოეცხადებინა შრომის ინსპექტორის ვაკანსია.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლის პრიორიტეტს წარმოადგენდა ტექნიკური მეცნიერებებისა და უცხოური ენებისადმი მოსწავლეთა ინტერესის გაღვივება, ასევე, მოსწავლეთა ინტერესებიდან გამომდინარე, სხვადასხვა მიმართულებით, შესაბამისი ცოდნითა და უნარ-ჩვევებით აღჭურვა, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების განხორციელებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნა. ექსპერტის თქმით, საათობრივი ბადის თანახმად, სკოლა ეროვნული სასწავლო გეგმისს სტანდარტით გათვალისწინებული პროგრამების ფარგლებში, მოსწავლეებს სთავაზობდა დამატებით საათობრივ დატვირთვას: ქართულ ენასა და ლიტერატურაში, მათემატიკაში, პირველ უცხოურ ენაში, მეორე უცხოურ ენაში. მისი თქმით, დამატებითი საათები სასწავლო პროგრამებში ცვლილებას არ ითვალისწინებდა. დამატებითი საათები გამოყენებული იყო პროექტებისა და მრავალფეროვანი აქტივობებისათვის, დასწავლილი მასალის პრაქტიკული გამოყენებისათვის. დამატებით საათებზე დასწრება სავალდებულო იყო ყველა მოსწავლისათვის. ექსპერტის განცხადებით, არჩევით საგნებად ისწავლებოდა მსოფლიო კულტურა (X კლასში), ამერიკისმცოდნეობა (XI კლასში), პროექტი მუსიკაში (XII კლასში).

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ დაწესებულებაში სწავლება მიმდინარეობდა ზოგადი განათლების სამივე საფეხურზე. სკოლაში განსაზღვრული იყო სამივე საფეხურის მიზნები, რომელთა განხორციელებასაც სკოლაში ემსახურებოდა 7 საგნობრივი კათედრა. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შესწავლილ იქნა მასწავლებლებისა და კათედრების ელექტრონული პორტფოლიოები. პორტფოლიოებში განთავსებული იყო 2022-2023 სასწავლო წლის საგნის წლიური თემატური გემები, კათედრის ზოგადი დებულება, სამუშაო გეგმები, კათედრის სხდომის ოქმი, მასწავლებლის სამოქმედო გეგმა, დაგეგმილი შემაჯამებელი დავალებების განრიგი, შეფასების რუბრიკები, სკოლის მიერ შემუშავებული შემაჯამებელი დავალების ანალიზის ფორმები, სადაც გაწერილი იყო შემაჯამებელი დავალების თემა, ფორმა, ჩატარებისა და შემაჯამებელი დავალების გაცნობის თარიღები, სტანდარტის შედეგები, რომლის დაკმაყოფილებასაც ემსახურებოდა კონკრეტული შემაჯამებელი დავალება, შეფასების სქემა, მასწავლებლის კომენტარი და რეკომენდაციები მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესებისთვის. წარმოდგენილი იყო კათედრების თავმჯდომარეების ანგარიშები, ასევე, კათედრის სამუშაო პროგრამა. ექსპერტის განმარტებით, მასწავლებელთა პორტფოლიოებში წარმოდგენილი იოყ შემაჯამებელი და კომპლექსური დავალებები, მათი ანალიზი, შეფასების რუბრიკები და რიგ შემთხვევაში შეფასებები სოლო ტაქსონომიის მიხედვით. შემაჯამებელი დავალებების შეფასების ანალიზში, მასწავლებლებს განხილული ჰქონდათ თითეული მოსწავლის სუსტი და ძლიერი მხარეები და აცხადებდნენ, რომ გეგმავდნენ დამატებით აქტივობებს შედეგების გასაუმჯობესებლად, თუმცა, რიგ შემთხვევებში არ იყო მითითებული კონკრეტულად რა დავალებებს შესთავაზებდნენ მოსწავლეებს სიძნელეების დასაძლევად, რასთან დაკავშირებითაც, მასწავლებლებს ექსპერტების მხრიდან მიეცათ რჩევა მიეთითებინათ კონკრეტული დავალებები კონკრეტულ მოსწავლეებთან.

ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლის ყველა კათედრა აქტიურად მუშაობდა პროექტულ სწავლებაზე. ინგლისური ენის მასწავლებლები ჩართულები იყვენ და მოსწავლეებიც აქტიურად ახორციელებენ საერთაშორისო პროექტებს. ასევე, მონაწილეობდნენ English book education-ის პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კონკურსებში. მისი თქმით, სერტიფიკატით დაჯილდოვდნენ საბაზო საფეხურის მოსწავლეები, როგორც საუკეთესო პროექტის ავტორები. ამავე პროექტის ფარგლებში ჩატარებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მე-3, მე-4, მე-5 კლასის მოსწავლეებმა და გახდნენ რჩეული პროექტის

ავტორები, რისთვისაც დაჯილდოვდნენ Macmillan Education-ის სერტიფიკატებით. კონკურსში ,,Summer Reading Challenge" სკოლის მე-5 კლასის მოსწავლე გახდა ჟიურის რჩეული და ოქროს სერთიფიკატის მფლობელი.
ექსპერტმ, ქეთევან ბოტკოველის განმარტებით, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალით დგინდებოდა, ასევე, მოსწავლეების აქტიური ჩართულობა მათემატიკის შიდა სასკოლო და სხვა ოლიმპიადებში, რომლებშიც მოსწავლეთა უმრავლესობამ დაიმსახურა საპატიო ადგილები. ასეთი ოლიმპიადებთა რიცხვს განეკუთნებოდა: "ჟაუტიკოვის საერთაშორისო ოლიმპიადა", "კინგსი", "ევერესტი", "კენგურუ", "მოაზროვნე", eschool.edu.ge-ის მიერ ორგანიზებული ოლიმპიადა და სხვ. აღსანიშნავია ასევე პროექტები: „ რიცხვის საერთაშორისო დღე", „ნარჩენების მართვა", „გეომეტრია არქიტექტურაში", „Universal Content in Math and Science".
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლაში შექმნილი იყო მოსწავლეთა თვითმართველობა, რომელშიც გაერთიანებული იყო საბაზო და საშუალო საფეხურების ყველა კლასის თითო წარმომადგენელი და რომლის მთავარი მიზანი, დებულების თანახმად, მოსწავლეთა წინაშე წამოჭრილი პრობლემების თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებისდაგვარად მოწესრიგება და მათი უფლებების დაცვა იყო. ქეთევან ბოტკოველმა აღნიშნა, რომ ექსპერტის მიერ შესწავი იქნა თვითმართველობის ანგარიში, რომლის თანახმად, პირველ სემესტრში ჩატარდა რიგი ღონისძიებებისა, მათ შორის, საქველმოქმედო, ინტელექტუალური, სპორტული ღონისძიებები, ასევე, დაარსდა მაკულატურის ყუთი და სხვ. არაფორმალური განათლების მიზნით, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა: მათემატიკის საოლიმპიადო, ინფორმატიკის, ინგლისური ენის და ცეკვის წრეებს. მოსწავლეები გაერთიანებულნი იყვნენ, ასევე, ინგლისური ენისა და ლიტერატურულ კლუბებში. ექსპერტმა, აღნიშნა, რომ სასკოლო წრეებში, საკუთარი სურვილით, გაერთიანებული იყვნენ არა მარტო შპს N1 სკოლის, არამედ, ქალაქ ქუთაისის საჯარო და კერძო სკოლების განსაკუთრებული მიდრეკილების მქონე მოსწავლეებიც.
ექსპერტმა, ქეთევან ბოტკოველმა, განაცხადა, რომ სკოლა თავისი საქმიანობით ორიენტირებული იყო მოსწავლეებზე, ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების განხორციელებასა და ეროვნული სასწავლო გეგმის წარმატებით შესრულებაზე. სკოლაში იყო კეთილგანწყობილი და მხარდამჭერი გარემო.
საბჭოს თავმჯდომარემ, მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები ექსპერტებთან ან სკოლის წარმომადგენლებთან.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო, არსებული რესურსების გათვალისწინებით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მათ შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლოთ 400 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ექსპერტებიც.
საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს N1 სკოლის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400 - ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-20 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 21-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად, შპს N1 სკოლას (ს/კ: 212690729) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 400 - ით. პროგრამების განხორციელების ენად განისაზღვრა ქართული ენა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდგომ, საბჭოს სხდომა 16:35 საათზე დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
მალაზონია დავით



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების
ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ჯინჭარაძე მანანა